



**ფინანსთა სამინისტროს  
სახაზინო სამსახური**

29 დეკემბერი 2025



N 31

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების  
დანერგვის 2025-2029 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 20 აპრილის №238 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის 2025-2029 წლების სტრატეგია, დანართთან ერთად, თანდართული ფორმით.

**მუხლი 2.** ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გამყრელიძე

სახაზინო სამსახურის უფროსი

## საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის 2025-2029 წლების სტრატეგია

### 1. შესავალი

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის 2025-2029 წლების სტრატეგიას, რომელიც განსაზღვრავს რეფორმის განხორციელების შემდგომ ეტაპებს.

2. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა მნიშვნელოვანია სააღრიცხვო ინფორმაციის სრულყოფისა და მთავრობის ყველა დონეზე აღრიცხვის, ანგარიშგების და ფინანსური მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. სრულყოფილი ფინანსური ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესისა და ნდობის ამაღლებას, გაზრდის საქართველოს კრედიტუნარიანობას და გააუმჯობესებს საჯარო და კერძო სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხარისხს.

3. IPSAS სტანდარტების დანერგვა მოითხოვს თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც კოორდინირებული უნდა იყოს საჯარო მმართველობის მიმართულებით მიმდინარე სხვა რეფორმებთან, აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება IPSAS სტანდარტების მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს, ასევე სამთავრობო პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს და პრიორიტეტებს.

### 2. სტრატეგიის მიზანი

1. სტრატეგიის მიზანია საქართველოში საჯარო სექტორში დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შემდგომი დანერგვის ხელშეწყობა და ფინანსური ინფორმაციის სანდოობისა და ხარისხის გაუმჯობესება საჯარო სექტორში.

2. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) შემდგომი დანერგვა ხელს შეუწყობს სახელმწიფოს ფინანსური მართვის სისტემის ხარისხის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობის გაზრდას და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას.

3. სტრატეგია ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, ქვეყნის ინსტიტუციურ რეალობასა და საჯარო უწყებებში არსებულ გამოცდილებას.

4. აღნიშნული სტრატეგია შეიქმნა საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. სტრატეგიის შემუშავების პროცესი ინკლუზიური იყო და ასევე მოიცავდა საჯარო სექტორის შესაბამისი უწყებების მონაწილეობას. ამ მიდგომამ ხელი შეუწყო საქართველოს საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ გამოწვევათა გამოვლენას და ეფექტური მიზნებისა და აქტივობების განსაზღვრას, ასევე, დაინტერესებული მხარეების კოორდინაციასა და ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას.

სტრატეგიის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიგნებები, საჯარო სექტორში აღრიცხვასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

### 3. არსებული მდგომარეობა

1. საჯარო სექტორში სამოქმედოდ შემოღებულია 26 დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IPSAS), რომლის მიხედვითაც აღრიცხვა-ანგარიშგებას ანარმოებენ საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციები.

2. რეფორმის ფარგლებში ძირითადი მიღწევები მოიცავს: (i) საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს შექმნას; (ii) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე ოფიციალურად თარგმნას და ხელმისაწვდომობას; (iii) ერთიანი ანგარიშთა გეგმის შემუშავებას; (iv) ფინანსური ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნების ფორმების შემუშავებას IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით; (v); 2020-2024 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების და მათი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ სამოქმედოდ შემოღებული დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად; (vi) სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს (vii) საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრთა კვალიფიკაციის ამაღლებას, IPSAS სტანდარტებში.

### 4. საკანონმდებლო და ინსტიტუციური საფუძველი IPSAS სტანდარტების დანერგვისთვის

1. საქართველოს საჯარო სექტორში IPSAS სტანდარტების შემდგომი დანერგვა წარმოადგენს სახელმწიფოს ფინანსური მართვის სისტემის გამჭვირვალობის, სანდოობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცების მნიშვნელოვან ნინაპირობას აღნიშნული პროცესი ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვის (PFM) რეფორმის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით,

2. IPSAS სტანდარტების ეფექტური დანერგვის სამართლებრივი საფუძველი განისაზღვრება საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, აგრეთვე, სხვა ნორმატიული აქტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ: (i) საჯარო სექტორში აღრიცხვის და ანგარიშგების ერთიან მეთოდოლოგიას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; (ii) ფინანსური ანგარიშგების სისრულეს, დროულობასა და სანდოობას მმართველობის ყველა დონეზე; (iii) აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზებასთან და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით ფორმალიზებულ ჩარჩოს ყველა საჯარო უწყებაში.

3. ამ საფუძვლის გაძლიერებისა და IPSAS სტანდარტების ეფექტური დანერგვის უზრუნველსაყოფად, ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგიური ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავენ:

- **ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესებს**, მათ შორის დარიცხვის მეთოდის პრაქტიკული გამოყენების მექანიზმებს;
- **საბიუჯეტო ორგანიზაციების აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზების და პასუხისმგებლობის საკითხებს** საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს აღრიცხვის და ანგარიშგების ერთიან მიდგომებსა და პროცესების ჰარმონიზაციას ქვეყნის მასშტაბით;
- **ფინანსური ანგარიშგების ხარისხის, სანდოობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას**, რაც საჯარო უწყებებს საშუალებას აძლევს მოამზადონ და წარმოადგინონ სრული, დროული და უტყუარი ფინანსური ინფორმაცია.

## 5. IPSAS სტანდარტების დანერგვის მიზანი

### 1. IPSAS სტანდარტების დანერგვის მიზანია:

#### ა) ფინანსური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს:

- სანდო, სრული და დროული ფინანსური ინფორმაციის მიღებას სახელმწიფო ფინანსების მართვის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე;
- მონაცემების მკაფიოობის და დეტალიზაციის გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს ინფორმირებულ, ეფექტურ გადაწყვეტილებებს მმართველობის ყველა დონეზე.

#### ბ) საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა, რაც მოიცავს:

- ფინანსური მენეჯმენტის პროცესების ზედამხედველობის და ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფას;
- კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირებასა და ანგარიშვალდებულების კულტურის გაძლიერებას საჯარო უწყებებში.

#### გ) ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, რაც მოიცავს:

- საჯარო სექტორის კადრების უნარ-ჩვევების და კომპეტენციების გაძლიერებას IPSAS სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებას და ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას;

#### დ) სტრატეგიული ინტეგრაცია და სისტემურობა, რაც მოიცავს:

- საჯარო სექტორის სხვა პროცესებთან სრულად ინტეგრირებული, ერთიანი, სისტემური ფინანსური მართვის პროცესის ჩამოყალიბებას;
- ეტაპობრივად მიღწევადი მიზნების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მდგრად შედეგებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაზრდელად.

2. საჯარო სექტორში IPSAS სტანდარტების დანერგვის შედეგად შესაძლებელი გახდება სტანდარტიზირებული აღრიცხვა და ანგარიშგება მმართველობის ყველა დონეზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ფინანსური ინფორმაციის სანდოობასა და ხარისხს. სტანდარტების გამოყენება გაზრდის ეფექტურობას, შეამცირებს შეცდომებს და ხელს შეუწყობს აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემების გაუმჯობესებას., რაც , საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს სახელმწიფო სახსრების უფრო ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას.

## 6. რეფორმის მიმართულებები

1. საჯარო სექტორში IPSAS სტანდარტების ეფექტური დანერგვისა და ფინანსური მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის, სტრატეგია განსაზღვრავს რეფორმის შემდეგ ძირითად მიმართულებებს

- ა) IPSAS სტანდარტების დანერგვას;
- ბ) ხაზინის ელექტრონული სისტემის განვითარებას;
- გ) საკანონმდებლო ცვლილებებს და შესაძლებლობების განვითარებას;
- დ) ცნობიერების ამაღლებას და ცვლილებების მართვას.

## 7. IPSAS სტანდარტების დანერგვა

### 1. IPSAS სტანდარტების დანერგვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) **ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების მომზადება:** IPSAS სტანდარტების შესაბამისად მზადდება შესაბამისი ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტები, რომლებშიც გაითვალისწინება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები და საჯარო სექტორის ერთეულთა სპეციფიკა. მომზადებული ცვლილებები შესათანხმებლად ეგზავნებათ საჯარო სექტორის ერთეულებს.

ბ) **საჯარო სექტორის ბუღალტრების ტრენინგებს/გადამზადებას:** IPSAS სტანდარტების ეფექტურად დანერგვა მოითხოვს, რომ საჯარო სექტორის ერთეულთა წარმომადგენლებს ჰქონდეთ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა აღნიშნულ სტანდარტებში. ეს ცოდნა მათ საშუალებას მისცემთ არა მხოლოდ თეორიულად იცოდნენ, არამედ პრაქტიკაში ეფექტურად გამოიყენონ IPSAS სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი, გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ანგარიშგების მომზადებას. ამგვარი ტრენინგები და გადამზადება შესაძლებელს გახდის სტანდარტებთან შესაბამისობას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ფინანსური მართვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას საჯარო სექტორში.

გ) **ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების დამტკიცებას:** ნორმატიული აქტების ცვლილებები დამტკიცდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით რაც უზრუნველყოფს მათ სამოქმედოდ შემოღებას, მათი სამოქმედოდ შემოღება საჯარო სექტორის ფინანსური მართვისა და ანგარიშგების სისტემებს კიდევ უფრო გამჭვირვალეს, სანდოს და ეფექტურს გახდის.

### 2. წლების მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი სტანდარტების შემოღება:

- ა) **2025** - IPSAS 43 იჯარა; IPSAS 44 გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები; IPSAS 45 ძირითადი აქტივები; IPSAS 46 შეფასება
- ბ) **2026** – IPSAS 47 შემოსავლები; IPSAS 48 ტრანსფერული ხარჯები
- გ) **2027** - საპილოტედ, ხოლო **2028** სავალდებულოდ - IPSAS 28 ფინანსური ინსტრუმენტები - ნარდგენა; IPSAS 30 ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები; IPSAS 41 ფინანსური ინსტრუმენტები

3. სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მთავრობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სრული კონსოლიდაციის მიზნით, განსაზღვრულია შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია **სამუშაო ჯგუფის ფორმირება** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის, ქონების ეროვნული სააგენტოს, ფინანსთა სამინისტროს და სხვ. აქტიური მონაწილეობით. აღნიშნული ჯგუფი ხელს შეუწყობს სამთავრობო სექტორში არსებული სახელმწიფო საწარმოების სრული კონსოლიდაციის პროცესს, რათა ფინანსურმა ანგარიშგებამ სრულყოფილად მოიცვას სახელმწიფო სექტორის ყველა კომპონენტი. შემდეგი ეტაპია აღნიშნული საწარმოებისთვის **აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის პროექტის შემუშავება**. რომელიც დამტკიცდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. მომდევნო ეტაპია სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების **ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება** აღნიშნულ მეთოდოლოგიაში.

4. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ფინანსების ეფექტური მართვის და კონტროლის პროცესში, რადგან IPSAS სტანდარტების დანერგვა ზრდის საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობასა და სანდოობას და აუმჯობესებს მის ხარისხს.

## 8. საზინის ელექტრონული სისტემის განვითარება

1. ხაზინის ელექტრონული სისტემის განვითარება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:
  - ა) არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის შექმნას და აღრიცხვის წესების და პირობების განსაზღვრას;
  - ბ) სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების დარიცხვის მეთოდით ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებას;
  - გ) შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის ავტომატიზაციას ხაზინის ელექტრონულ სისტემაში;
  - დ) ფინანსური ანგარიშგების პორტალის შემუშავებას;
  - ე) ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების/მოდულების განვითარებას;
  - ვ) ხაზინის მთავარ წიგნში კონსოლიდაციის მოდულის შემუშავებას.

**2. არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის შექმნა და შესაბამისი სააღრიცხვო წესების განსაზღვრა** მიზნად ისახავს არაფინანსური აქტივების გამჭვირვალედ, ერთიან სისტემაში აღრიცხვას. პირველი ეტაპი მოიცავს არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირების და ღირებულების განსაზღვრისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს დაეყრდნობა და განსაზღვრავს აქტივების ღირებულების დადგენის წესებს და სააღრიცხვო პროცედურებს. შემდეგ ეტაპზე განხორციელდება არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სააღრიცხვო ინფორმაციის მართვას, უზრუნველყოფს სააღრიცხვო ინფორმაციის სიზუსტეს, ხელმისაწვდომობას და ეფექტურობას. მომდევნო ეტაპს წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რაც შესაძლებელს გახდის არაფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის ასახვას, მართვას და დამუშავებას ხაზინის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება აღნიშნული მოდულის ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, მოხდება აღნიშნული მოდულის რეალურ გარემოში ამოქმედება. შემდგომ ეტაპებზე მუდმივად განხორციელდება მისი დახვეწა და გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

**3. სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირების** მიზანია, რომ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა-ანგარიშგება განხორციელდეს ცენტრალიზებულად, მაღალი სიზუსტით, დარიცხვის მეთოდის IPSAS სტანდარტების შესაბამისად. პირველ ეტაპზე განხორციელდება სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების იდენტიფიცირება. შემდგომ ეტაპზე შემუშავდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა. მომდევნო ეტაპს წარმოადგენს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რაც შესაძლებელს გახდის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის ასახვას, მართვას და დამუშავებას ხაზინის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება აღნიშნული სისტემის ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განხორციელდება რეალურ დროში ამოქმედება, დახვეწა-გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

**4. შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის ავტომატიზაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემაში** მოიცავს საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების აღრიცხვა-ანგარიშგებას დარიცხვის მეთოდის შესაბამისად ხაზინის ელექტრონული სისტემის მეშვეობით აღნიშნული ხელს შეუწყობს სააღრიცხვო ინფორმაციის გაუმჯობესებას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას.

- ა) **საგადასახადო შემოსავლების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ავტომატიზაციის მიზნით**, პირველ ეტაპზე მოხდება საგადასახადო შემოსავლების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება. შემდგომ

ეტაპზე განხორციელდება საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. მომდევნო ეტაპზე მოხდება აღნიშნული მოდულის ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განხორციელდება რეალურ დროში ამოქმედება, დახვეწა-გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

**ბ) არასაგადასახადო შემოსავლების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ავტომატიზაციის მიზნით,** პირველ ეტაპზე ბიზნეს-პროცესების დეტალური ანალიზის შედეგად მომზადდება ტექნიკური დავალება. მომდევნო ეტაპზე მოხდება არასაგადასახადო შემოსავლების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება არასაგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. მომდევნო ეტაპზე მოხდება აღნიშნული მოდულის ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განხორციელდება რეალურ დროში ამოქმედება, დახვეწა-გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

**5. ფინანსური ანგარიშგების პორტალის შემუშავების მიზნით,** პირველ ეტაპზე ბიზნეს-პროცესების დეტალური ანალიზის შედეგად მომზადდება ტექნიკური დავალება. მომდევნო ეტაპზე ტექნიკური დავალების საფუძველზე შემუშავდება პროგრამული უზრუნველყოფა. შემდეგ ეტაპზე მოხდება აღნიშნული მოდულის ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განხორციელდება რეალურ დროში ამოქმედება, დახვეწა-გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

**6. ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების და მოდულების განვითარების მიზნით,** პირველ ეტაპზე განისაზღვრება ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების/მოდულების განვითარების ღონისძიებები. შემდგომ ეტაპზე მოხდება ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა და შესაბამისი ტექნიკური დავალებების მომზადება. მომდევნო ეტაპზე განხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. შემდგომ ეტაპზე მოხდება აღნიშნული მოდულების ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განხორციელდება რეალურ დროში ამოქმედება, დახვეწა-გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

**7. ხაზინის მთავარ წიგნში კონსოლიდაციის მოდულის მეშვეობით შესაძლებელი გახდება** როგორც ერთეულებს შორის შიდა ოპერაციების ელიმინირება, ასევე, დუბლირების და შეცდომების თავიდან აცილება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ინფორმაციის სიზუსტეს და მონაცემების სანდოობას. კონსოლიდაციის მოდულის შემუშავების მიზნით, პირველ ეტაპზე განისაზღვრება კონსოლიდაციის მოდულის განვითარების ღონისძიებები. შემდგომ ეტაპზე მოხდება ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა და შესაბამისი ტექნიკური დავალების მომზადება. მომდევნო ეტაპზე განხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. შემდგომ ეტაპზე მოხდება აღნიშნული მოდულის ტესტირება. ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განხორციელდება რეალურ დროში ამოქმედება, დახვეწა-გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება.

## **9 საკანონმდებლო ცვლილებები და შესაძლებლობების განვითარება**

1. საკანონმდებლო ცვლილებები და შესაძლებლობების განვითარება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად;

ბ) IPSAS-ების თარგმნას/განახლებას ქართულ ენაზე;

გ) საჯარო სექტორის ბუღალტერთა სერტიფიცირებას.

**2. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და IPSAS სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიზნით აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით,** განსაზღვრულია აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის დახვეწა/გაუმჯობესება. აღნიშნული პროცესი გულისხმობს ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების მომზადებას, განსახილველად საჯარო სექტორის ერთეულებისთვის წარდგენას, მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის ფორმატში განხილვას და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებას. ასევე, აღნიშნული მიმართულების ფარგლებში გათვალისწინებულია ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება აღრიცხვა-ანგარიშგების განახლებულ მეთოდოლოგიაში.

**3. IPSAS-ების თარგმნა/განახლება ქართულ ენაზე -** IPSAS სტანდარტების დანერგვის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია ახალი/განახლებული სტანდარტების მუდმივი თარგმნა /განახლება ოფიციალურად. შესაბამისად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ქართულ ენაზე გადასათარგმნად და შემდგომ გამოსაქვეყნებლად, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციისაგან (IFAC) შესაბამისი ხელშეკრულებაა გაფორმებული. ამასთან, ახალი/განახლებული IPSAS სტანდარტების თარგმნა და გამოქვეყნება ხორციელდება თარგმნის და გამოცემის შესახებ IFAC-ის პოლიტიკის დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიმართულება ორ ღონისძიებას მოიცავს:

ა) IPSAS -ის ქართული ვერსიის განახლება სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

ბ) IPSAS-ის საბჭოს (IPSASB) მიერ მიღებული ახალი IPSAS სტანდარტების თარგმნა.

**4. საჯარო სექტორის ბუღალტერთა სერტიფიცირება** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საჯარო სექტორში დასაქმებული ბუღალტრების პროფესიონალიზმისა და კომპეტენციის ამაღლების მიზნით. ამ პროცესის დანერგვა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ხარისხიან ფინანსურ ანგარიშგებას, არამედ სისტემურ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს ბუღალტრების ცოდნის და უნარ-ჩვევების მუდმივ განვითარებას. სერტიფიცირების პროცესი განსაზღვრავს სტანდარტებს და მოთხოვნებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ბუღალტრების კვალიფიკაციის გაზრდისთვის. ამასთან, იგი უზრუნველყოფს, რომ ბუღალტრები მუდმივად ეცნობოდნენ სიახლეებს, ფლობდნენ ჩვევებსა და უნარებს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრებისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ეფექტურობას საჯარო სექტორში. საჯარო სექტორის ბუღალტერთა სერტიფიცირების შემუშავების მიზნით, პირველ ეტაპზე განისაზღვრება საჯარო სექტორში ტრენინგების საჭიროებები აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით. შემდეგ ეტაპზე ანალიზის საფუძველზე მოხდება ტრენინგის განხორციელების გეგმის შემუშავება (რესურსების განსაზღვრის ჩათვლით). მომდევნო ეტაპზე განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შემდეგ ეტაპზე მოხდება სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების პროგრამის შემუშავება კვალიფიკაციის გათვალისწინებით. მომდევნო ეტაპზე შემუშავდება სასწავლო პროგრამის, მასალები/მოდულები. შემდეგ ეტაპზე განხორციელდება ტრენინგები და სერტიფიცირება. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ტრენინგის მასალების შემუშავების მუდმივი მხარდაჭერა და განგრძობითი სწავლება.

## **10. ცნობიერების ამაღლება და ცვლილებების მართვა**

1. ცნობიერების ამაღლების და ცვლილებების მართვა გულისხმობს ორ მიმართულებას:

ა) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს (სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს და ა.შ)



ბ) ცვლილებების მართვას

**2. IPSAS სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლება** წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საჯარო სექტორის ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიმართულებით. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS) არა მხოლოდ ზრდის საჯარო სექტორის ანგარიშგების სანდოობას, არამედ უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის უფრო ზუსტ და გამჭვირვალე წარმოდგენას. სემინარების, სამუშაო შეხვედრების და სხვ. სახით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები საჯარო სექტორის ერთეულებს აძლევს საშუალებას უფრო ეფექტურად მართონ სახელმწიფო რესურსები. ცნობიერების ამაღლების მიმართულება გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) აღრიცხვის რეფორმის მხარდასაჭერად ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განსაზღვრას;

ბ) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გეგმის შემუშავებას;

გ) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

**3. ცვლილების მართვა** განხორციელდება დაინტერესებული მხარეების ეფექტური მოთხოვნისა და ჩართულობის, ასევე რეფორმის მხარდასაჭერად. ცვლილებების მართვის ძირითადი ასპექტები არის შემდეგი: ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერება, ძირითადი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა; დაგეგმვის, პროგრესის მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესების გაუმჯობესება. ცვლილებების მართვა გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) IPSAS-ების რეფორმის ღონისძიებების მუდმივ გადახედვას, სამუშაო ჯგუფთან განხილვას და შესაბამისი ცვლილებების დამტკიცებას;

ბ) შიდა სამუშაო მექანიზმების შექმნას ცვლილებების მართვის პროცესის წარმართვის მიზნით;

გ) ამოცანების დაგეგმვის, პროგრესის ანგარიშგების და პრობლემის იდენტიფიკაციის/მოგვარების ღონისძიებების გაძლიერებას.

IPSAS სტრატეგია 2025-2029

კომპონენტი/ქვეკომპონენტი/ლონისძიება		2025	2026	2027	2028	2029	ურთიერთთანამშრომლობა
<b>1</b>	<b>IPSAS სტანდარტების დანერგვა</b>						
<b>1.1</b>	<b>IPSAS 43; IPSAS 44; IPSAS 45; IPSAS 46</b>						
1.1.1	დამატებით IPSAS სტანდარტების ყველაზე რელევანტური დებულებების დანერგვისათვის ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების მომზადება						სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია
1.1.2	საჯარო სექტორის ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება დამატებით შემოსაღებ IPSAS სტანდარტებში						
1.1.3	ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების დამტკიცება						
<b>1.2</b>	<b>IPSAS 47; IPSAS 48</b>						
1.2.1	დამატებით IPSAS სტანდარტების ყველაზე რელევანტური დებულებების დანერგვისათვის ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების მომზადება						სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია
1.2.2	საჯარო სექტორის ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება დამატებით შემოსაღებ IPSAS სტანდარტებში						
1.2.3	ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების დამტკიცება						
<b>1.3</b>	<b>IPSAS 28; IPSAS 30; IPSAS 41</b>						
1.3.1	დამატებით IPSAS სტანდარტების ყველაზე რელევანტური დებულებების დანერგვისათვის ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების მომზადება						სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია
1.3.2	საჯარო სექტორის ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება დამატებით შემოსაღებ IPSAS სტანდარტებში						
1.3.3	ფინანსური ინსტრუმენტების სტანდარტების საპილოტედ შემოღება						
1.3.4	ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების დამტკიცება						

<b>1.4</b>	<b>სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სრული კონსოლიდაციისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა</b>						
1.4.1	სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სრული კონსოლიდაციისათვის სამუშაო ჯგუფის ფორმირება (ეკონომიკის სამინისტრო, SARAS, ქონების ეროვნული სააგენტო, ფინანსთა სამინისტრო)						სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ეკონომიკის სამინისტრო, SARAS, ფინანსთა სამინისტრო
1.4.2	სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სრული კონსოლიდაციისთვის აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის პროექტის შემუშავება						
1.4.3	სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიაში						
1.4.4	სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სრული კონსოლიდაციისათვის აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის პროექტის დამტკიცება						
<b>2</b>	<b>ხაზინის ელექტრონული სისტემის განვითარება</b>						
<b>2.1</b>	<b>არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის შექმნა და აღრიცხვის წესების და პირობების განსაზღვრა</b>						
2.1.1	არაფინანსური აქტივების იდენტიფიცირების და ღირებულების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება						სახაზინო სამსახური; ეკონომიკის სამინისტრო; სხვა მხარჯავი დაწესებულებები; საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
2.1.2	არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის წარმოების პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება						
2.1.3	არაფინანსური აქტივების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება						
2.1.4	არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის ტესტირება						
2.1.5	არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის რეალურ გარემოში ამოქმედება						
2.1.6	არაფინანსური აქტივების ერთიანი რეესტრის მუდმივი დახვეწა/გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება						

<b>2.2</b>	<b>სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების დარიცხვის მეთოდით ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირება</b>						
2.2.1	სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების იდენტიფიცირება						სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტრო; მხარჯავი დაწესებულებები; საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
2.2.2	სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება/ინტეგრირება						
2.2.3	სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება						
2.2.4	სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მოდულის ტესტირება						
2.2.5	სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მოდულის რეალურ გარემოში ამოქმედება						
2.2.6	სახელმწიფო ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის მოდულის მუდმივი დახვეწა/გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება						
<b>2.3</b>	<b>შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის ვტომატიზაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემაში</b>						
2.3.1	საგადასახადო შემოსავლების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება						სახაზინო სამსახური; შემოსავლების სამსახური, მხარჯავი დაწესებულებები; საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
2.3.2	საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება						
2.2.3	საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის მოდულის ტესტირება						
2.2.4	საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით მოდულის რეალურ გარემოში ამოქმედება						
2.2.5	არასაგადასახადო შემოსავლების აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური დავალების მომზადება						
2.2.6	არასაგადასახადო შემოსავლების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება						
2.2.7	არასაგადასახადო შემოსავლების ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება						
2.2.8	შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის მოდულების მუდმივი დახვეწა/გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება						

<b>2.4</b>	<b>ფინანსური ანგარიშგების პორტალის შემუშავება</b>						
2.4.1	ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა და ტექნიკური დავალების მომზადება						სახაზინო სამსახური; საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
2.4.2	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება						
2.4.3	პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება						
2.4.4	პროგრამული უზრუნველყოფის რეალურ გარემოში ამოქმედება						
2.4.5	პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივი დახვეწა/გაუმჯობესება და მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგება						
<b>2.5</b>	<b>ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების/მოდულების განვითარება</b>						
2.5.1	ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების/მოდულების განვითარების ღონისძიებების განსაზღვრა						სახაზინო სამსახური; საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
2.5.2	ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა და შესაბამისი ტექნიკური დავალებების მომზადება						
2.5.3	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება						
2.5.4	პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება						
2.5.5	პროგრამული უზრუნველყოფის რეალურ გარემოში ამოქმედება						
2.5.6	პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივი დახვეწა/გაუმჯობესება და მომხმარებელთა ბუღალტრულ პროგრამულ უზრუნველყოფებთან ინტეგრირება						
<b>2.6</b>	<b>ხაზინის მთავარ წიგნში კონსოლიდაციის მოდულის შემუშავება</b>						
2.5.1	ხაზინის მთავარ წიგნში კონსოლიდაციის მოდულის შემუშავების ღონისძიებების განსაზღვრა						სახაზინო სამსახური; საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
2.5.2	ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა და შესაბამისი ტექნიკური დავალებების მომზადება						
2.5.3	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება						
2.5.4	პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება						
2.5.5	პროგრამული უზრუნველყოფის რეალურ გარემოში ამოქმედება						
2.5.6	პროგრამული უზრუნველყოფის მუდმივი დახვეწა/გაუმჯობესება და მომხმარებელთა ბუღალტრულ პროგრამულ უზრუნველყოფებთან ინტეგრირება						

<b>3</b>	<b>საკანონმდებლო ცვლილებები და შესაძლებლობების განვითარება</b>					
<b>3.1</b>	<b>აღრიცხვა-ანგარიშების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად</b>					
3.1.1	აღრიცხვა-ანგარიშების მეთოდოლოგიის დახვეწა/გაუმჯობესება სსბასს -ის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის მიღწევის მიზნით					სახაზინო სამსახური; სახელმწიფო აუდიტის სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია
3.1.2	აღრიცხვა-ანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებების პროექტების განხილვა და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით პროექტების მომზადება					
3.1.3	ბუღალტრებისთვის მიწოდება შენიშვნებისა და წინადადებებისათვის					
3.1.4	აღრიცხვა-ანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებების პროექტების სამუშაო ჯგუფთან განხილვა და ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცება					
3.1.5	ბუღალტრების ტრენინგები/გადამზადება აღრიცხვა-ანგარიშების განახლებულ მეთოდოლოგიაში					
<b>3.2</b>	<b>IPSAS-ების თარგმნა/განახლება ქართულ ენაზე</b>					
3.2.1	IPSAS -ის ქართული ვერსიის განახლება სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით					სახაზინო სამსახური
3.2.2	IPSAS-ის საბჭოს (IPSASB) მიერ მიღებული ახალი IPSAS სტანდარტების თარგმნა					
<b>3.3</b>	<b>საჯარო სექტორის ბუღალტრთა სერტიფიცირება</b>					
3.3.1	საჯარო სექტორში ტრენინგების საჭიროების განსაზღვრა აღრიცხვა-ანგარიშების მიმართულებით					სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია
3.3.2	ანალიზის საფუძველზე ტრენინგის განხორციელების გეგმის შემუშავება (რესურსების განსაზღვრის ჩათვლით)					
3.3.3	საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა					
3.3.4	სერტიფიცირებისა და განგრძობითი სწავლების პროგრამის შემუშავება კვალიფიკაციის გათვალისწინებით					
3.3.5	სასწავლო პროგრამის, მასალების/მოდულების შემუშავება					
3.3.6	ტრენინგების ჩატარება და სერტიფიცირება					
3.3.7	ტრენინგის მასალების შემუშავების მუდმივი მხარდაჭერა და განგრძობითი სწავლება					

<b>4</b>	<b>ცნობიერების ამაღლება და ცვლილებების მართვა</b>					
<b>4.1</b>	<b>ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები (სემინარები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ)</b>					
4.1.1	აღრიცხვის რეფორმის მხარდასაჭერად ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განსაზღვრა					სახაზინო სამსახური; ფინანსთა სამინისტროს აკადემია
4.1.2	ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გეგმის შემუშავება					
4.1.3	ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარება ყველა დაინტერესებული მხარისათვის					
<b>4.2</b>	<b>ცვლილებების მართვა</b>					
4.2.1	IPSAS-ების რეფორმის ღონისძიებების მუდმივი გადახედვა, სამუშაო ჯგუფთან განხილვა და შესაბამისი ცვლილებების დამტკიცება					სახაზინო სამსახური; სახელმწიფო აუდიტის სამსახური
4.2.2	შიდა სამუშაო მექანიზმების შექმნა ცვლილებების მართვის პროცესის წარმართვის მიზნით					
4.2.3	ამოცანების დაგეგმვის, პროგრესის ანგარიშების და პრობლემის იდენტიფიკაციის/მოგვარების ღონისძიებების გაძლიერება					